თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1498606

ნომერი: AR1246741

თარიღი : 26.08.2014

გაცემის თარიღი : 22.09.2014

გაცნობის თარიღი : 23.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აკაკი ბელიაშვილი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ თავაძე პ/ნ 61003002313
- ბათუმი თამარ მეფის დას. N 2 ბ. 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 27 აგვისტოს #308601 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 26 აგვისტოს #AR1246741 განცხადებით მომართეს შპს „თერმარსენალი“–ს გენერალურმა დირექტორმა მიხეილ თავაძემ და შპს „რიო“–ს დირექტორმა ლაშა სვანიძემ. განმცხადებლებმა მოითხოვეს სამსახურის 2012 წლის 27 აგვისტოს #308601 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 27 აგვისტოს #308601 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა, #40, (ყოფ. ჩაჩავას ქუჩა #6), შპს "რიო"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.13.01.005.004) სასაწყობო სავაჭრო-საოფისე შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთად მითითებულია შპს "რიო", რომლის დირექტორს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13037127, ამონაწერის მომზადების თარიღი: 10/04/2013) წარმოადგენს ლაშა სვანიძე. სამსახურის 2012 წლის 13 ნოემბრის #427566 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვა 2012 წლის 14 ნოემბრიდან 2013 წლის 14 მაისის ჩათვლით. ხოლო, 13.06.2013 წლის #721279 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2012 წლის 13 ნოემბრის #427566 ბრძანებაში, კერძოდ: დამკვეთად შპს "რიო"–სთან ერთად დაფიქსირდა შპს „თერმარსენალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი 202283242). აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები, კერძოდ: საოფისე ფართობად 618,7 კვ.მ–ის ნაცვლად მიეთითა 618.0 კვ.მ., საერთო ფართობად 3358,5 კვ.მ–ის ნაცვლად 3357.8 კვ.მ. სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საოფისე ფართობი შეადგენს 618,7 კვ.მ–ს, საერთო ფართობი 3358,5 კვ.მ–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა 2012 წლის 27 აგვისტოს #308601 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 27 აგვისტოს #308601 ბრძანებაში, კერძოდ: საოფისე ფართობას დაფიქსირდეს – 618,7 კვ.მ., საერთო ფართობად – 3358,5 კვ.მ.;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 27 აგვისტოს #308601, 2012 წლის 13 ნოემბრის #427566 და 13.06.2013 წლის #721279 ბრძანებებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.